

ქართული გობელენი



GEORGIAN TAPESTRY

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის
100 წლის იუბილე

ქართული გობელენის მუზეუმის
დაარსებიდან 35 წელი

100th Anniversary of the Tbilisi State Academy of Art

35 Years since Establishment of the
Georgian Tapestry Museum

ქართული გობელენი

GEORGIAN TAPESTRY

პროექტი განხორციელდა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერითა და სრული დაფინანსებით, თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიასთან ნაცოფიერი თანამშრომლობით

The project was efficiently implemented through the generous support and full financial backing of the Ministry of Culture, Sports and Youth of Georgia, in a productive partnership with the Apollon Kutateladze Tbilisi State Academy of Art

პროექტის ავტორი და კურატორი: ნიკოლოზ ნუცუბიძე

ტექსტის ავტორი: ირინე კოშორიძე

თარგმანი: თეა ქავთარაძე

ფოტო, დიზაინი, დაკაბადონება: შპს "ბატაშ სტუდიო", ელენე გაბრიჩიძე, გოგა დემეტრაშვილი

ბეჭდვა, აკინძვა: შპს „სეზანი“

ტირაჟი: 300

აღბომში წარმოდგენილი გობელენები დაცულია თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის გობელენისა და მხატვრული ტექსტილის მუზეუმში, კერძო კოლექციებში.

Project author and curator: Nikoloz Nutsbidze

Text author: Irine Koshoridze

Translation: Thea Kavtaradze

Photo, design, page layout: "Batash Studio" LLC, Elene Gabrichidze, Goga Demetrashvili

Printing, Binding: "Cezanne" LTD

Print Run: 300

The tapestries featured in the catalogue are preserved in the Tapestry and Art Textile Museum of the Apollon Kutateladze Tbilisi State Academy of Art as well as in private collections.

2023

ISBN 978-9941-8-5907-6

სარჩევი

Table of content

- 7** ევროპული ხალიჩური ნაწარმი — გობელენი
- 25** European carpet-like product — Tapestry
- 43** ალბომი · Album

ევროპული ხალიჩური ნაწარმი გობელენი

გობელენი (ფრ. Gobelin), ცალმხრივი, უხაო ქსოვილი, სიუჟეტური, ორნამენტული ან აბსტრაქტული კომპოზიციით დატვირთული, ხალიჩური ნაწარმია. იგი დეკორატიული ხელოვნების ერთ-ერთ სახეობად ითვლება. ტერმინი გობელენი ფრანგ ჟან გობელენის (Jehan Gobelin) სახელს უკავშირდება, რომელიც, XV საუკუნის პარიზში, ხალიჩების საწარმოს დამაარსებელი გახლდათ. მოგვიანებით კი, 1650-იან წლებში, ამ საწარმოს ბაზაზე, შარლ ლებრენის ხელმძღვანელობით, ჩამოყალიბდა სახელოსნო, სადაც გობელენები მხოლოდ ვო ლე ვიკონტის ციხესიმაგრის ინტერიერებისათვის იქსოვებოდა. ლუდოვიკო XIV-მ (1638-1715), მსგავსი მხატვრული ქსოვილების დამზადების ხელშეწყობის მიზნით, 1662 წელს, აღნიშნული სახელოსნო გამოისყიდა და „გობელენის სამეფო მანუფაქტურა“ დააარსა. სწორედ ამ დროიდან, საყოველთაოდ მკვიდრდება ზოგადი სახელწოდება – გობელენი. თუმცა, ქსოვის ამგვარი ტექნიკა და მისი მეშვეობით შექმნილი პროდუქცია ცნობილია არაერთ ანტიკურ კულტურაში. ბუნებრივია, რომ თავად ქსოვილსაც ძველ ხალხთა ენებში განსხვავებული სახელდება ჰქონდა (მაგ., ბერძნულში – ტაპესი (ძვ. ბერ. τάπης), ლათინურში – ტაპეტუმი (ლათ. tapetum) და ხშირად, იგულისხმებოდა, როგორც ხალიჩა, ისე გადასაფარებელი ან სუფრა. დღეს ამ მხატვრულ ქსოვილს ტაპესტრის ან შპალერას უწოდებენ და მხოლოდ რამდენიმე ქვეყანაში, მათ შორის, საქართველოშიც, გამოიყენება ევროპული ტერმინი – გობელენი.

გობელენი იქსოვება ხელით, ვერტიკალურ დაზგაზე, ძაფების ჭვარედინი ქსოვით. მისაქსელის ქსელთან გადახლართვა ქმნის ერთდროულად გამოსახულებასაც და ქსოვილსაც. ქსელისთვის, უმეტესად, ბამბის ან სელის უფერო ძაფი გამოიყენება, მისაქსელისთვის კი – შალის. მხატვრული ამოცანებიდან გამომდინარე, ზოგჯერ, ემატება აბრეშუმის, ოქროს, ვერცხლის ან სხვა მასალის ნართი. ნახატი კი წინასწარ შექმნილი შაბლონის (კარტონის, ესკიზის, ნახატის) მიხედვით იქსოვება.

ამგვარი ტექნიკით შესრულებულ მხატვრულ ქსოვილთა დიდი პოპულარობა, უპირველესად, მისი სიმსუბუქითა და გადასატანად მოსახერხებელი ფორმებით იყო განპირობებული. თუმცა, შუა საუკუნეებიდან, გობელენის პოპულარობის ზრდა, განსაკუთრებით ევროპაში, მისმა სხვა ფუნქციებმაც განაპირობა: გამოსახული ორნამენტული ან სხვა სახის კომპოზიციების გამო, იგი ფართოდ გამოიყენებოდა ევროპული სასახლეებისა და ციხესიმაგრეების ინტერიერთა მოსართავად; მკაცრი კლიმატის პირობებში კი თბოიზოლაციის დანიშნულებას ითავსებდა.

დღესდღეობით, გობელენის ქსოვა, ძირითადად, ევროპულ ხელოვნებასთან ასოცირდება და გულისხმობს შალის ძაფებით მოქსოვილ ფიგურატიულ გამოსახულებებს. თუმცა, როგორც ითქვა, ხალიჩური ნაწარმის ქსოვის მსგავს მეთოდს გაცილებით ადრე ფლობდნენ: ძველი ეგვიპტის სამარხებში გვხვდება ამ ტექნიკით შესრულებული მხატვრული ქსოვილები; ცნობები მის შესახებ დაცულია ბერძნულსა და რომაულ ლიტერატურაში; ამგვარი ნაწარმი ჩანს აღნიშული ქვეყნების კულტურულ ძეგლებზეც; ქსოვილთა ნიმუშები, ასევე, გვხვდება კოლუმბიამდელ ამერიკასა და ჩინეთში; დიდი რაოდენობით მასალაა აღმოჩენილი კოპტურ ეგვიპტეშიც. სხვადასხვა ქვეყნის კულტურის სპეციფიკიდან და იქ გავრცელებული ხელმისაწვდომი ნედლეულიდან გამომდინარე, ამ ტექნიკით შესრულებული ყველა მხატვრული ქსოვილისათვის შესაბამისი მასალა გამოიყენებოდა: ეგვიპტეში – სელი, კოლუმბიაში – შალი და ბამბა, ჩინეთში – აბრეშუმი...

ძალზედ საინტერესოა, გობელენის გავრცელებისა და განვითარების გზა, შუა საუკუნეების ევროპაში: თავდაპირველად, მსგავსი ქსოვილების შემოტანასა და პოპულარიზაციას ჭვაროსნულ ლაშქრობებს უკავშირებდნენ. განსხვავებით ძველი ნიმუშებისგან, რომლებიც, ძირითადად, აქსესუარებისა და სამოსის დეტალებად გამოიყენება, შუა საუკუნეების ევროპაში, გობელენის ხელოვნებამ, ბევრგან კედლის მხატვრობა შეცვალა. როგორც უკვე აღინიშნა, იგი გახდა ეკლესიებისა და დიდგვაროვანთა ციხესიმაგრეებისა თუ სასახლეების ინტერიერთა გაფორმების ერთ-ერთი აუცილებელი ატრიბუტი. ამიტომ, ბუნებრივია, რომ მათზე აისახა იმდროინდელ ეპოქათა სულისკვეთების ამსახველი აქტუალური თემატიკის სიუჟეტები.

XIV საუკუნიდან, გობელენის ქსოვის ხელოვნება პოპულარული გახდა გერმანიასა და შვეიცარიაში, შემდეგ კი საფრანგეთში, კერძოდ, ქალაქ არასში. აქ არსებულ მანუფაქტურულ სახელოსნოებში შალისგან გობელენის მრავალფეროვანი ნიმუშები იქსოვებოდა, რომლებითაც მთელი ევროპის სასახლეები და ციხესიმაგრეები მარაგდებოდა.

XIV საუკუნიდანვე, გობელენის ქსოვას საფუძველი ჩაეყარა, ფლამანდიაში. ქალაქი ბრიუსელი იმდროინდელ ევროპაში გობელენის ქსოვის წამყვანი და ცნობილი შედევრების

წარმოების ცენტრი გახდა. ჩრდილოეთის აღორძინების ეპოქის ოსტატები – იან ვან ეიკი, ჰუგო ვან დერ გუსი და სხვები დიდ გავლენას ახდენდნენ აღნიშნული მიმდინარეობის განვითარებაზე. ამ დროიდან დაიწყო მხატვრების ნამუშევრებთა ასლების გადატანა გობელენებზე. კომპოზიცია მრავალფიგურიანი, რთული და დინამიკური გახდა, ფორმების, სიღრმისა და შუქრდილების გადმოცემის მეშვეობით. ყველა ამ სიახლის დანერგვასთან ერთად, გამდიდრდა ფერთა პალიტრაც – ფლამანდიელები 20-30 ტონალობის ძაფს ხმარობდნენ და ამასთანავე, იყენებდნენ აბრეშუმის, ვერცხლისა და ოქროს ძაფებს.

XV საუკუნეში, გობელენის ქსოვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი საფრანგეთი გახდა, სადაც განსხვავებული, ე.წ. მილ ფლორ (ათასი ყვავილის) სტილის გობელენი იქსოვებოდა. აღნიშნული სახელწოდება უკავშირდება ამ სახის გობელენის სიუჟეტური კომპოზიციის ერთ თავისებურებას – იგი ასობით წვრილი ყვავილითა და მცენარით მოფენილ მწვანე ფონზეა წარმოდგენილი. მათი უმეტესობა ქალწულისა და „უნიკორნის“ (*თეთრი ცხენი მითოლოგიიდან*) ალეგორიულ სიუჟეტებზეა შექმნილი, რომელთა თემატიკა და სტილისტიკაც გოთური ხელოვნების მხატვრული პრინციპებისგან განსხვავდება იმით, რომ ყვავილები არ არის ერთმანეთში გადახლართული.

აღორძინების ეპოქის ყველაზე ცნობილი გობელენები, რაფაელის მიერ, 1515-1516 წლებში შესრულებული ესკიზების მიხედვით დამზადდა სიქსტის კაპელასათვის. სულ ათი ასეთი გობელენი მოიქსოვა. ისინი დღემდეა დაცული ვატიკანის მუზეუმში და განსაკუთრებულ შემთხვევებში იფინება, სიქსტის კაპელაში, მიქელანჯელოს ფრესკების ქვეშ.

1580 წელს, დასრულდა საფრანგეთის სამეფო დინასტიის – ვალუას (1328-1589 წწ.) ცნობილ გობელენებზე მუშაობა ბურგუნდიულ ნიდერლანდებში, სავარაუდოდ, ბრიუსელში ან ანტვერპენში. ისინი ფრანგული ესკიზების მიხედვით შესრულდა და მისი დამკვეთი დედოფალი ეკატერინე მედიჩი იყო. გობელენებზე ვალუათა მთელი საგვარეულო გახლდათ წარმოდგენილი, მათი დღესასწაულებისა და დროსტარების სცენებითურთ.

ფრანგული გობელენის ხელოვნების განვითარებაში გარკვეული წვლილი შეიტანა ლუდოვიკო XIV-ემაც, 1662 წელს, ზემოთ აღნიშნული გობელენის სამეფო მანუფაქტურის დაარსებითა და მისი წარმადობისათვის ხელშეწყობით. სწორედ ამის შემდეგ იქცევა საფრანგეთი გობელენის ხელოვნების ერთ-ერთ ცნობილ ცენტრად. მომრავლებულ მანუფაქტურებში, ძირითადად, სამეფო დაკვეთები სრულდებოდა, მათზე გამოისახებოდა მონუმენტური ციკლები ალექსანდრე მაკედონელის ცხოვრებიდან, წელიწადის დროები, ლუდოვიკო XIV-ის ისტორია და სხვ. როგორც წესი, აღნიშნული გობელენებისათვის კარტონებს სხვადასხვა მხატვარი ქმნიდა; ესკიზთა შემსრულებლები პეიზაჟის, არქიტექტურული მოტივებისა და ორნამენტის ოსტატობის კატეგორიებადაც კი იყოფოდნენ.

თუმცა, მთლიან პროცესს ზემოთ ნახსენები შარლ ლებრენი (Charles Le Brun) ხელმძღვანელობდა. მას კარგად ესმოდა გობელენის ხელოვნების სპეციფიკა და ამიტომ გარკვეული პირობითობა ყველა ნამუშევრის გამოსახულებასა და კოლორიტშიც შენარჩუნებული იყო. 1664 წელს სამეფო მანუფაქტურის სახელის ტარების პრივილეგია მიიღო კიდევ ერთმა – ბოვეს მანუფაქტურამ, რომელიც, ასევე, სამეფო კარს ემსახურებოდა. 1665 წელს მსგავსი ტიტულის მატარებელი ობიუსონის მანუფაქტურაც გახდა. ეს უკანასკნელი კი უფრო რეგიონებიდან მიღებულ შეკვეთებს აკმაყოფილებდა. მის სპეციალიზაციას ფლამანდიური პეიზაჟური გობელენებისა და ბოვიეს ავეჯის ქსოვილთა ასლების დამზადება წარმოადგენდა.

XVIII საუკუნეში გობელენის ხელოვნებამ ერთგვარი კრიზისი განიცადა. როკოკოს სტილის პოპულარობის ფონზე, მნიშვნელობა დაკარგა მონუმენტურმა, დიდი სივრცეებისათვის განკუთვნილმა, ჰეროიკულ, მითოსურ თუ ისტორიულ სიუჟეტებზე შექმნილმა კომპოზიციებმა. თუმცა, ხელოვნების ეს მიმდინარეობა მთლიანად არ დაიკარგა. შეიცვალა მხოლოდ აქცენტები და მასშტაბები, ასევე მხატვრული ხერხები და ამოცანები. მთავარი მიზანი ფერწერულ ორიგინალთან ზედმიწევნით მიახლოება გახდა. ძაფი ათასამდე ტონალობის საღებავით იღებებოდა (XVIII საუკუნის ბოლოს, გრადაცია დაახლოებით 14 000 ტონალობას შეადგენდა). 1733-1755 წლებში საფრანგეთის სამეფო სახელოსნოებში შემოიღეს ფერთა შკალა, რომელსაც გადასცემდნენ მქსოველს გარკვეული ნომრისა და ტონალობის მითითებით. ამან კი ხელოვანთა შემოქმედებითი ინიციატივის სრული გაქრობა და მათი ოსტატობის ხელოსნობის დონემდე დაყვანა გამოიწვია. ისინი, უბრალოდ, ორიგინალი სურათის ზუსტ კოპირებას ახდენდნენ და ცვლილებების შეტანის უფლება არ ჰქონდათ.

1755-70-იან წლებში, სამეფო მანუფაქტურის სათავეში, როკოკოს მიმდინარეობის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მხატვარი, ფრანსუა ბუშე იდგა, რომლის თაოსნობითაც ათობით გობელენი მოიქსოვა.

XIX საუკუნეში, მანქანური წარმოების განვითარებამ, მნიშვნელოვნად შეამცირა ხელით ნაქსოვი გობელენების რაოდენობა. ამ შემოქმედების ალორძინების ერთ ერთი ყველაზე ცნობილი ენთუზიასტი იყო ინგლისელი უილიამ მორისი (1834-1896 წწ.) – ხელოვნებისა და ხელოსნობის მიმდინარეობის შემქმნელი. იგი თავად ასრულებდა ესკიზებს, ქსოვდა და ღებავდა ძაფებს. მისი ნაწარმის მთავარ სიუჟეტს ბიბლიური და რაინდული თემები წარმოადგენდა. მორისი თავის მიმდევრებთან ერთად შეეცადა, რომ გობელენის ხელოვნებაში, შემოქმედებითი საწყისი დაებრუნებინა, რომელიც XVIII საუკუნიდან მშრალი კოპირების ხელოვნებად იყო გადაქცეული.

ე.ნ. მხატვრულ-შემოქმედებითი გობელენის აღორძინების კიდევ ერთი ცდა ცნობილ ფრანგ მოქანდაკეს, არისტიდ მაიოლს (1861-1944) ეკუთვნის. კლუნის მუზეუმის გობელენებით შთაგონებულმა, გახსნა სახელოსნო, სადაც ნამუშევრები ხელით იქსოვებოდა. იგი თავად ქმნიდა ესკიზებს, ეძებდა შესაფერის ნედლეულს და ცდილობდა, მცენარეული საღებავების გამოყენებით, სხვადასხვა ტონალობის ნართი მიეღო. მისი გობელენები-სათვის დამახასიათებელი იყო კლაკნილხაზოვანი ნახატი, სტილიზებული მცენარეული ფორმები. მისი ესკიზებით მოქსოვილი გობელენები – „მუსიკა“ და „მომნუსხველი ბაღი“ წარმოდგენილ იქნა ბრიუსელის გამოფენაზე და კრიტიკოსთა მოწონება დაიმსახურა. თუმცა, ეკონომიურმა სიძნელეებმა, დაკვეთების სიმცირემ და მხედველობის გაუარესებამ, მაიოლი იძულებული გახდა, 1900 წელს, გობელენის სახელოსნო დაეხურა. 1920-1930-იან წლებში, საფრანგეთში, კერძოდ, ობიუსონის მანუფაქტურაში, რამდენჯერმე სცადეს გარკვეული რეფორმების გატარება, რათა გობელენის ხელოვნება მხოლოდ ფერწერული სურათის უბრალო კოპირებად არ დარჩენილიყო – შემცირდა ფერთა პალიტრა, მეტი თავისუფლება მიეცა მქსოველს, რათა მას თავი შემოქმედად ეგრძნო. გარდა ამისა, საფრანგეთის უმაღლესმა პირებმა, რამდენჯერმე მოუწოდეს მხატვრებს, შეექმნათ ახალი ესკიზები გობელენის მანუფაქტურებისათვის, მაგრამ საბოლოოდ, მაინც ყველაფერი ფერწერული სურათების უბრალო კოპირებით სრულდებოდა.

მნიშვნელოვანი გარდატეხა, გობელენის ხელოვნებაში, ფრანგმა ჟან ლურსამ (1892-1966) მოახდინა. შუა საუკუნეების ტრადიციული, ცნობილი ანჟერის გობელენების სერიის – „აპოკალიფსის“ შესწავლის შემდეგ, მან რამდენიმე ძირითადი კანონი ჩამოაყალიბა:

- ა. გობელენი ყოველთვის არქიტექტურული ინტერიერის ნაწილი უნდა იყოს და მას უნდა შეესაბამებოდეს;
- ბ. გობელენის შაბლონი საბოლოოდ დასრულებული ნამუშევრის ზომისა უნდა დამზადდეს;
- გ. ფერები შაბლონზე მოცემული უნდა იყოს არა ფერწერული ხერხებით – ტონებითა და ნახევარტონებით, არამედ რიცხვებით, რომლებიც გარკვეულ ფერთა სისტემის შესატყვისი იქნება;
- დ. გობელენის ქსოვის ტექნიკა საჭიროა, მიუახლოვდეს შუა საუკუნეებისას ანუ არ უნდა იყოს ძალიან მაღალი სიმჭიდროვის.

ყველა ამ სიახლემ ნამდვილი გადატრიალება მოახდინა, ლურსა კი თანამედროვე გობელენის პიონერ შემოქმედად აქცია. მან ასამდე სხვადასხვა ქვეყნის მხატვარს გააცნო სიახლეები და მალევე (1961 წ.), ლოზანაში, ძველი და თანამედროვე ტაპისერიის ცენტრიც კი დააარსა.

თანამედროვე არქიტექტურულ ინტერიერებში, გობელენების „შეტანის“ საინტერესო მცდელობა ჰქონდა ფრანგ ლე კორბუზიესაც (1887-1965 წწ.), რომელმაც, 1945 წელს, ობიუსონის მანუფაქტურისათვის, კარტონების შექმნა დაიწყო. ავტორის ყველაზე საინტერესო პროექტი კი 1955 წელს განხორციელდა, როდესაც ქ. ჩანდიჰარის უმაღლესი სასამართლოს არქიტექტურული კომპლექსი მის მიერ შექმნილი ცხრა კარტონის მიხედვით მოქსოვილი გობელენებით დამშვენდა. ამ ქმედებით კორბუზიემ გაიზიარა ერთგვარ კანონიკად ქვეული ლურსას მოსაზრება, არქიტექტურის განუყოფელ ნაწილად გობელენის მიჩნევის შესახებ.

1962 წელს, ჟან ლურსასა და მისი თანამოაზრეების – პიერ პოლის, პოლ ჰენრი ჯაკარდის, ჯორჯ ანდრე შევალიესა და რენე რეგერის ინიციატივით, ქალაქ ლოზანის გობელენების მუზეუმში დაარსებულმა ცენტრმა, ტექსტილის ნამყვანი მხატვრების მონაწილეობით, საერთაშორისო ბიენალეების ჩატარება დაიწყო, რამაც დიდი სტიმული მისცა მსოფლიოში გობელენისა და ზოგადად, მხატვრული ტექსტილის ხელოვნების განვითარებასა და პოპულარიზაციას. 1962-95 წლების განმავლობაში, ლოზანაში, სულ 14 ბიენალე გაიმართა. თითოეულს განსხვავებული დევიზი ჰქონდა, რაც ტექსტილის მხატვრებს იდეებისა და ახალი ხერხების გამოცდის საშუალებას აძლევდა. თანდათანობით, აღნიშული ბიენალეები მსოფლიო მოვლენად გადაიქცა, რამაც საგრძნობლად შეუწყო ხელი ტექსტილის მხატვრების შემოქმედებითი თავისუფლების განვითარებას. 30 წლის განმავლობაში მიმდინარე ამ ბიენალეების მეშვეობით, ლოზანა თანამედროვე ტექსტილის ხელოვნების ერთგვარ მექად იქცა და დიდი როლი ითამაშა სხვადასხვა ქვეყანაში, გობელენის ხელოვნების განვითარებაში: აშშ-ს, სკანდინავიის, ევროპის ბევრ ქვეყანაში, ასპარეზზე, ინოვაციური ხედვის მექონე, ახალი თაობის მხატვრები გამოვიდნენ. გობელენი ნაწილობრივ დაშორდა არქიტექტურულ გარემოს და დამოუკიდებელ მხატვრულ მოვლენად იქცა. დავიწყებას მიეცა კარტონის მხატვრების ხელობა. თანამედროვე გობელენში, მხატვარი ყველაფერს თავად აკეთებს: ქმნის ესკიზებს, არჩევს ფერებს, ღებავს და ქსოვს; ტრადიციული მასალისა და ქსოვის მეთოდის პარალელურად, გობელენის ხელოვნებაში, მკვიდრდება სხვადასხვა შერეული ტექნიკა, რაც ამრავალფეროვნებს მხატვრის შემოქმედებით იდეებს; იქმნება ხელოვნების, როგორც ორგანომილებიანი, ისე სამგანზომილებიანი ნიმუშები. ამის თვალსაჩინო მაგალითია ისეთი მოწინავე შემოქმედის ხელოვნება, როგორიცაა შილა ჰიქსი (აშშ).

აღსანიშნავია, რომ, ლოზანაში, 1962-95 წლებში გამართული გობელენის ბიენალეების მნიშვნელობის მიუხედავად, ამ ბიენალეთა თითქმის პარალელურად, 1960-1970 წლებში, ევროპის მრავალ ქვეყანაშიც, არანაკლები მნიშვნელობის მექონე ეროვნული მასშტაბის ბიენალეები იქნა ორგანიზებული, რომელთა სახელწოდებებში სიტყვა გობელენი ფიგურირებდა. ამ ბიენალეთა შორის, ყველაზე ადრეული ლოდის (პოლონეთი) ბიენალეა,

რომლის სახელწოდებაში კვლავ დარჩა სიტყვა გობელენი, თუმცა, თავად გამოფენებზე, მხატვრული ტექსტილის ხელოვნების სხვა დარგებიცაა წარმოდგენილი. ამიტომ ბევრგან უკვე იხმარება ტერმინი – ტექსტილის ხელოვნება. გობელენის მხატვრების გარდა, ამ გამოფენებში, მონაწილეობენ მხატვრული ქსოვილის სხვა ოსტატებიც, მნიშვნელოვნად გაფართოვდა გამოყენებული მასალისა და ტექნიკის სპექტრიც.

შემოქმედებითი სიახლის თვალსაზრისით, აღსანიშნავია, აღმოსავლეთ ევროპის, ე.წ. სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში შექმნილი გობელენებიც. რამდენიმე ქვეყანაში – პოლონეთში, უნგრეთში და ჩეხოსლოვაკიაში, შემოქმედებით ასპარეზზე, ერთდროულად გამოვიდნენ შემდგომ ცნობილი ოსტატები: აბაკანოვიჩი, კიბალი და სხვები. საბჭოთა კავშირში კი, ამ ხელოვნების განვითარებაში, გადამწყვეტი როლი ბალტიისპირეთის ქვეყნების მხატვრებმა (ედითე პაულს-ვიგნერე, რუტა ბოგუსტოვა) ითამაშეს. მათ შორის სრულიად გამორჩეული იყო რუდოლფ ჰეიმრატი, რომელმაც გობელენის ხელოვნების ახალ ესთეტიკას დაუდო საფუძველი.

დღესდღეობით, თანამედროვე მხატვრული ტექსტილის ყველა მიმართულების, მათ შორის, გობელენის ხელოვნების განვითარებასა და მხატვრული თუ ტექნიკური სიახლეების დანერგვას ხელს უწყობენ და, გარკვეულწილად, განაპირობებენ დიდი საერთაშორისო ცენტრები – ლოზანა, ბაზელი, ლოდი, ნიუ-იორკი, პეკინი, აბუ-დაბი... შედეგად, XXI საუკუნეში, გობელენის ხელოვნება, ძირითადად, ორი მიმართულებით ვითარდება:

1. არქიტექტურული ინტერიერისთვის განკუთვნილი ტრადიციული გობელენი, რომლიც დიდ სივრცეებსა და სიბრტყეებს ფარავს;
2. მხატვრულ-შემოქმედებითი გობელენი, რომელიც ითვალისწინებს ავტორის სრულიად თავისუფალ დამოკიდებულებას ფორმების, კოლორიტისა თუ კომპოზიციების მიმართ.

ჩვეულებისამებრ, ესაა ორგანზომილებიანი გობელენი, თუმცა, თანამედროვე მხატვრები სულ უფრო ხშირად მიმართავენ სამგანზომილებიანი ტექსტილის ხელოვნებასაც. თუ პირველი ჯგუფის ნამუშევრებისათვის დამახასიათებელია ტრადიციული ქსოვის ხერხები, გარკვეული ფორმებისა და ფერების პირობითობა, რაც მათ ფერწერული ტილოსგან განასხვავებს, ე.წ. მხატვრული გობელენის შემთხვევაში, ყველა შემოქმედებითი ხერხი და მეთოდი დასაშვებია – როგორც თემატიკისა და კომპოზიციის თავისუფალი შერჩევა, ისე ქსოვისა და მასალის მრავალფეროვანი ხერხების გამოყენება. ყოველივე ეს ქმნის XXI საუკუნის გობელენის უნიკალურ ხასიათს, ზრდის მის ემოციურ-მხატვრულ ზეგავლენასა და საუკეთესო ნიმუშებს მაღალი ხელოვნების ჭეშმარიტ ქმნილებებად აქცევს.

ქართული გობელენის ისტორია, საბჭოთა ეპოქაში, 1960-იან წლებში იწყება და დაკავშირებულია გივი ყანდარელისა (1933-2006) და მისი პედაგოგის, თბილისის სამხატვრო აკადემიაში დეკორატიულ-გამოყენებითი ფაკულტეტის დამაარსებლის, მხატვრისა და ხელოვნებათმცოდნე დავით ციციშვილის (1901-1986), ასევე, იმ პერიოდში, სამხატვრო აკადემიის რექტორის, აპოლონ ქუთათელაძის, სახელთან. გივი ყანდარელმა, სამხატვრო აკადემია, მინა-კერამიკის სპეციალობით, 1956 წელს დაამთავრა. 1960 წლიდან დაიწყო პედაგოგიური მოღვაწეობა მინა-კერამიკის კათედრაზე, თუმცა, ამავე წლებში, დაინტერესდა ტექსტილის ხელოვნებითა და სტრუქტურით. ამას დიდად შეუწყო ხელი პროფესორმა დავით ციციშვილმა, რომლის ხელძღვანელობითაც მან მალევე დაიწყო ქსოვილების ესკიზების შექმნა და ტექსტილის კომპოზიციის სწავლება.



გივი ყანდარელი, ხათუნა რაზმაძე-მებადური, სტუდენტებთან ერთად

Givi Kandareli and Khatuna Razmadze-Mebaduri with students

1963 წელს, გივი ყანდარელი, მთელს აღმოსავლეთ ევროპაში ცნობილ მხატვარ ანტონ კიბალთან, სტაჟიორის კურსის გასავლელად, სოციალისტურ ჩეხოსლოვაკიაში გაემგზავრა. თავად ჟან ლურსას მოწაფემ, კიბალმა გობელენის ათობით მხატვარი გაზარდა, ჩეხოსლოვაკიის უმაღლეს სამხატვრო სკოლაში. ესაა დრო, როდესაც გობელენის ხელოვნება პოპულარობის ერთგვარ პიკს აღწევს, არა მხოლოდ ევროპული გობელენის ქსოვის ტრადიციულ ქვეყნებში (ბელგია, საფრანგეთი), არამედ ე.წ. სოციალისტური ბანაკის ქვეყნებშიც. მათგან განსაკუთრებით გამოირჩევა ჩეხოსლოვაკიისა და პოლონეთის სკოლები. პოპულარულია გობელენის ხელოვნება საბჭოთა კავშირში შემავალ რესპუბლიკებშიც, განსაკუთრებით, ბალტიისპირეთის ქვეყნებში.

1950-60-იანი წლები, საბჭოთა კავშირის ხელოვნებაში, გარკვეული ცვლილებების პოსტ-სტალინური ეპოქაა, როდესაც მკაცრად იდეოლოგიზირებული და პროპაგანდისტული ხელოვნების პარალელურად, დაიწყო მხატვართა ახალი თაობის სწრაფვა პერსონალური შემოქმედების უფრო მეტად თავისუფალი, მხატვრულ-გამომსახველობითი და

დეკორატიული სახეებით გამდიდრებისაკენ. ასპარეზზე გამოჩნდა ე.წ. 50-იანელთა თაობა და მხატვრულ-შემოქმედებითი სული სამხატვრო აკადემიის კედლებშიც ტრიალებდა. ეს ატმოსფერო, სხვადასხვა დარგში, მათ შორის, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ყველა მიმართულებაშიც, შეინიშნებოდა.

თუმცა, ეს ჯერ კიდევ ის ეპოქა იყო, როდესაც ხელოვნების ნიმუშთა სახელმწიფო დაკვეთების საბჭოური სისტემა ისევ აწყობილად მუშაობდა — იქმნებოდა სხვადასხვა დანიშნულების მრავალი შენობა-ნაგებობა, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება კი მათ განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა. მოზაიკა, მხატვრული კერამიკა, ვიტრაჟი, ჭედურობა — ეს ის დარგებია, რომლებიც ახალაგებულ შენობათა ინტერიერებს, ამდიდრებდა, ამრავალფეროვნებდა და ამავდროულად, სითბოს, ინტიმურობასა და ეროვნულობის გარკვეულ ელფერს სძენდა. ასეთი ტენდენციები მთელი საბჭოთა კავშირისათვის იყო დამახასიათებელი, თუმცა, სხვადასხვა რესპუბლიკაში, ადგილობრივი ხალხის გამორჩეული ინდივიდუალურობა და ტრადიციული ეროვნული მოტივები იგრძნობოდა.

გივი ყანდარელი, თამაზ ნუცუბიძე, ხათუნა რაზმაძე-მებადური, ბესო კიკილაშვილი, ქართველ და ჩინელ სტუდენტებთან ერთად

Givi Kandareli, Tamaz Nutsbidze, Khatuna Razmadze-Mebaduri, and Beso Kikilashvili with Georgian and Chinese students



გივი ყანდარელმა ძალზე კარგი სკოლა გაირა კიბალთან. იგი ტრადიციული გობელენის ტექნიკის მომხრე იყო, სადაც ნამუშევრის ფაქტურას სხვადასხვა ფერის გრადაციებისა და ტონალობების ურთიერთმონაცვლეობა ქმნიდა. გივი ყანდარელის ადრეული ნამუშევრები გამოირჩევა მყარი, სტრუქტურირებული მრავალფეროვანი კომპოზიციებით, რომლებშიც ფორმა და ფერი ჰარმონიულად ერწყმის ერთმანეთს, ფერთა გამა კი ძალზედ მრავალფეროვანია — თბილი, მოყვითალო-მოყავისფრო ტონალობიდან, უფრო ცივი ფერების კომბინაციამდე. გ. ყანდარელი თავად ქმნიდა ესკიზებს და თავადვე ქსოვდა გობელენს. მისი ესკიზები მხატვრულ მონახაზებს წარმოადგენდა, რომლებსაც ავტორი თანდათანობით, ქსოვის პროცესში, იმპროვიზებულად ასხამდა ხორცს. მისი ადრეული ნამუშევრები („პური ჩვენი არსობისა“, „მქსოველები“, „წყაროსთან“) მონუმენტურობით,

მკაფიოდ აგებული კომპოზიციებითა და რეალისტური ფორმებით გამოირჩევა, სადაც ხშირად ფიგურირებს ეროვნული მოტივები. ამ მხრივ, სრულიად განსხვავებულია მხატვრის გობელენი „ფიროსმანი“. დიდ სიბრტყეზე, თითქოს ქაოსურად განლაგებული ფიროსმანისეული სახეები განუმეორებელ ფერადოვან სურათს ქმნის, რომელიც ნიკალას მდიდარსა და სულიერებით აღსავსე სამყაროს გადმოცემს.

გ. ყანდარელის 1980-90-იანი წლების ნამუშევრებში ჭარბობს აბსტრაქტული კომპოზიციებისადმი ინტერესი; მხატვარი შეგნებულად არღვევს ფორმებს; ხშირად ძალზედ ემოციურია ტეხილი ან დენადი ხაზები, რომლებიც კოლორიტული გამის მრავალფეროვანი ტონალური გრადაციების მეშვეობით დიდი ემოციური დატვირთვისა და მუხტის მატარებელია („ტრაგედია“, „სევდა“).

1980-იანი წლებიდან, ყანდარელი მონაწილეობას იღებდა საკავშირო და საერთაშორისო გამოფენებში. უდიდესია მისი ღვაწლი მომავალი თაობების აღზრდის საქმეში. საბოლოოდ, აკადემიაში ის თავის თანამოაზრეებთან ერთად დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ფაკულტეტზე, სათავეში ჩაუდგა გობელენისა და მხატვრული ქსოვილების კათედრას და გაზარდა ტექსტილის ამ ურთულესი დარგის ხელოვანთა პირველი თაობები.

80-იან წლებშივე, კათედრის ბაზაზე, ძველ თბილისში, შარდენის ქუჩაზე, გივი ყანდარელი აყალიბებს შემოქმედებით სახელოსნო-ლაბორატორიას, სადაც ასევე მრავალი სტუდენტი და კურსდამთავრებული ეზიარა გობელენის ხელოვნებას, გაიღრმავა თავისი ცოდნა, მათ შორის გამორჩეულები იყვნენ: ხათუნა რაზმაძე-მებაღური, მარინა საბანაძე და სხვები.

გივი ყანდარელის პედაგოგიური მოღვაწეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონაკვეთია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ევროპული გობელენის სწავლების დაწყება. მართალია, ჩინეთს ჰქონდა აბრეშუმის ძაფით გობელენური ქსოვის უძველესი ტრადიცია (კესსი), მაგრამ ყანდარელმა იქ ევროპული გობელენის ტექნიკის სწავლებას ჩაუყარა საფუძველი და მთელი თაობები გაზარდა. უდიდესია მისი და მისი მეუღლის — მალი ლიუ ყანდარელის როლი საერთაშორისო გობელენის ბიენალეს — „ლოზანიდან პეკინამდე“ დაარსების საქმეშიც, რომელიც შორეულ აღმოსავლეთში, პირველი საერთაშორისო მასშტაბის პროექტი იყო. ამ ბიენალეზე, გობელენის მსოფლიოს წამყვანი ოსტატები თავიანთ ხელოვნებას წარუდგენდნენ საერთაშორისო საზოგადოებას. ქართული გობელენის სათავეებთან, ყანდარელს გვერდით ედგნენ მეგობრები და თანამოაზრეები. მათ ნამუშევრებში, გივი ყანდარელის ადრეული შემოქმედების მსგავსად, ჭარბობს დიდი ზომის, მონუმენტური, მრავალფიგურიანი კომპოზიციები, სადაც თემატიკაც, კოლორიტიც და ფორმათა გადმოცემაც ეროვნულ მოტივებს ეფუძნება. ლექსო მაზანაშვილის გობელენის — „სიმღერა შრომაზე“, მთავარი კომპოზიციური და იდეური ცენტრია

მთელი ტანით აღმართული, მაყურებლისკენ მოტრიალებული, მშვიდად და მყარად მდგარი სამი ჭარმაგი მამაკაცის ფიგურა. კომპოზიციის მონუმენტურობას აძლიერებს როგორც მათი სტატიკური პოზები, ისე მაყურებელთან ახლოს მიტანილი კადრი. ფორმები რეალისტურად, მოცულობითი მოდელირებითაა გადმოცემული, ცენტრალურ კომპოზიციას გარს აკრავს ორნამენტული არშია, რომელშიც ნატურალისტურადაა გადმოცემული შრომის სხვადასხვა იარაღი და ნივთი. მშვიდ, სტატიკურ, მონუმენტურ კომპოზიციას ეხმიანება გობელენის კოლორიტიც, რომელსაც თბილი, მოყავისფრო-მოყვითალო ტონალობები ქმნის და მხოლოდ შიგადაშიგაა სხვა ფერთა აქცენტები. ისინი არღვევენ მონოტონურობას, მაგრამ არა გობელენის მონუმენტურსა თუ სტატიკურ ხასიათს.

განსხვავებულია ანრი გახარიას კომპოზიცია „ხორუმი“ — მონითალო-მოშავო ფონზე, ერთმანეთის თავზე დგას სამ-სამი მოცეკვავის მოძრავი ფიგურა. ფიგურათა აგება აქ მეტად სტილიზებული და პირობითია, თუმცა, შტრიხებისა და შავი კონტურული ხაზების მეშვეობით გადმოცემული რიტმული მოძრაობა და მონითალო-შინდისფერი ჟღერადი კოლორიტი ამ გობელენს სრულიად განსხვავებულ ემოციას სძენს. ერთი შეხედვით, თითქოს ფიგურათა მონოტონური მოძრაობა საოცრად ემოციური და დინამიკური ხდება, რაც სრულიად შეესაბამება სამხედრო-პატრიოტული ცეკვის — „ხორუმის“ გმირულ სულს.

ქართული გობელენის შემდგომ განვითარებაში უდიდესია მხატვარ თამაზ ნუცუბიძის (1940-2002) როლი. 1960-69 წლებში აკადემიაში სწავლისას, იგი, ფაქტობრივად, ახალდაარსებული მხატვრული ქსოვილების კათედრის პირველი ასპირანტი გახდა. ასპირანტურის დამთავრების შემდეგ კი მალევე დაიწყო პრაქტიკული საქმიანობა. იგი თავისი პედაგოგისა და მეგობრის, გივი ყანდარელის, თანამოაზრეს წარმოადგენდა და მასთან ერთად, დიდად შეუწყო ხელი ქართული გობელენის განვითარებას. თ. ნუცუბიძის ადრეულ ნამუშევრებში, იქნება ეს სახელმწიფო დაკვეთით შესრულებული პანოები, თუ უბრალოდ, შემოქმედებითი გობელენები, იკვეთება ეროვნული ფესვების, მოტივების ძიების დაუოკებელი სურვილი (ხალხური მოტივი. 1976; ხალხური მოტივი. 1977). მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ევროპული გობელენი ხელოვნების ახალ-ფეხადგმული დარგი იყო, ქსოვის ტრადიციები უხსოვარი დროიდანვე არსებობდა. ამას აქ აღმოჩენილი სელისა და შალის ნართის, ქსოვილებისა თუ ხალიჩა-ფარდაგების ნიმუშების ფრაგმენტები მოწმობს. XIX-XX საუკუნეებამდე, საქართველოში, მეხალიჩეობის მრავალი კერაც კი გახლდათ შემორჩენილი. ამ მხრივ, განსაკუთრებით, გამოირჩეოდა თუშეთი. ქართული ფარდაგის სხვადასხვა ორნამენტული სახისა და მოტივის გადააზრება, ფორმებითა და ფერებით თამაში, დამახასიათებელი იყო მისი ადრეული შემოქმედებისათვის. საინტერესოა თ. ნუცუბიძის მიერ ტრადიციული ქსოვის ტექნიკით შესრულებული ფარდაგები, სახასიათო ორნამენტული მოტივების თავისუფალი

ინტერპრეტაციით, ასევე, მსგავსი მოტივებითა და თემებით ინსპირირებული გობელენები, რომლებიც აბსტრაქტიზმის, სტილიზაციისა და, ამავე დროს, ეროვნული სახეებისა თუ ფერების საოცარი ნაზავით შექმნილი ნამუშევრებია („თუში ქალები“, „ხევსური ქალი“). თ. ნუცუბიძე, ამ გობელენებში, ცდილობს, შექმნას არა რეალისტური და მოცულობითი, არამედ დეკორატიული კომპოზიციები, სადაც ყოველთვის შენარჩუნებულია სიმეტრიულობა. ხაზი ხან დენადი და დინამიკური, ხანაც ოდნავ ხისტი, სიმეტრიული და რიტმულია. გ. ყანდარელისგან განსხვავებით, რომელიც ტრადიციული გობელენის ქსოვის მომხრე იყო, თ. ნუცუბიძეს ხიბლავს ექსპერიმენტები — იგი ხშირად ურთიერთანაცვლებს ტექნიკებს, ასევე გობელენურ ქსოვას უხამებს ხალიჩისათვის დამახასიათებელ ხაოს ტექნიკას ან მიმართავს ფარდაგული ქსოვის ელემენტებს. ამავე დროს, იგი საოცარი ვირტუოზულობით ფლობს და იყენებს კოლორიტულ გამას, რომელიც განწყობილებასა თუ ემოციურ მუხტს მატებს ნამუშევრებს. ამ მხრივ, განსაკუთრებით გამოირჩევა, თ. ნუცუბიძის გობელენების ციკლი — „წელიწადის დროები“, რომელიც 1980-იანი წლების დასასრულსაა შექმნილი. გობელენის კომპოზიცია არაა შევსებული ორნამენტული თუ ფიგურატიული მოტივებით, იგი, უბრალოდ, სხვადასხვა ფერის სეზალის (ზღვის ბალახი) გრძელბუნჯიანი ხაოს კვანძებით შედგენილი ნამუშევრებია, თუმცა, მათი ფერთა გამა, ერთმანეთში გადასული, ბუნებრივი საღებავებით შეღებილი, ძაფისა და სეზალის ფაქტურა არაჩვეულებრივ ეფექტს იძლევა და ზაფხულის თაკარა მზის (წითელ-თეთრი), სუსხიანი ზამთრისა (ლურჯ-მწვანე) და ბარაქიანი თბილი შემოდგომის (ყვითელი და მოყავისფრო) ასოციაციას იწვევს.

1990-იანი წლების დასაწყისი ახალი ეტაპია თ. ნუცუბიძის შემოქმედებაში, როცა მის გობელენებში, აქტიურად მკვიდრდება ძველი თბილისის თემატიკა („ძველი თბილისი-93“; „ძველი თბილისი-94“). თუმცა, ამ პერიოდშივე, მისი ყველაზე მნიშვნელოვანი თემა ქალია. ეს არ არის ქალი — გმირი, ქალი — მშრომელი ან ქალი — დედა, როგორც ეს სოცრეალიზმის ეპოქაში იყო; ესაა ნიუს თემა — ქალი, როგორც მშვენიერების, სილამაზისა და სიყვარულის სიმბოლო, რაც საკმაოდ თამამი განაცხადი გახლდათ იმდროინდელი პოსტსაბჭოთა საზოგადოებისთვის, რომელიც გარკვეულ შტამპებსა და კლიშეებს იყო მიჩვეული. ნიუს თემას მხატვარი ხშირად უბრუნდება, როგორც გრაფიკულ ნამუშევრებში, ისე გობელენებში („ქალის ფიგურა“, 1995; „დილა“, 1996; „გალობა“, 1999; „აბანოში“, 2000). მსგავსი გამოხატულება, თითქოს, იმედისა და სინათლის ნაპერწკალს წარმოადგენდა, იმდროინდელი ჩაბნელებული და სამოქალაქო ომის ქარცეცხლში გახვეული საქართველოსთვის. თამაზ ნუცუბიძის გობელენები მრავალ საკავშირო და საერთაშორისო გამოფენებზე იფინებოდა. შემოქმედებითი წარმატების გარდა, უმნიშვნელოვანესია მისი პედაგოგიური მოღვაწეობა, წლების განმავლობაში იგი სამხატვრო აკადემიის, გობელენისა და მხატვრული ქსოვილების კათედრის პედაგოგი იყო, 1995-2002 წლებში კი — კათედრის გამგე და პროფესორი. ქართული გობელენის არტისტთა თითქმის ყველა

თაობა მისი აღზრდილია. შთამომავლები იხსენებენ, როგორც არაჩვეულებრივ პედაგოგსა და პროფესიონალს, რომელიც დიდი პატივისცემით ეპყრობოდა თითოეულ სტუდენტს და სრულ შემოქმედებით თავისუფლებას აძლევდა.

უდიდესია თამაზ ნუცუბიძის ღვაწლი სამხატვრო აკადემიის გობელენის მუზეუმის ჩამოყალიბების საქმეშიც. მუზეუმის შექმნის იდეა, კონცეფცია და კოლექციებიც მისი და მისი მეგობრის, გივი ყანდარელის, ფიქრისა და აზრის, მათი ხანგრძლივი პედაგოგიური მოღვაწეობისა და შემოქმედებითი ძალისხმევის შედეგია. საბედნიეროდ, გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე, თამაზ ნუცუბიძემ და გივი ყანდარელმა გობელენის მუზეუმი ოფიციალურად გახსნეს.

1991 წლიდან, საქართველომ ახალი ცხოვრება დაიწყო — იგი დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა, რომლის შენებასა და ფორმირებას მრავალი სირთულე ახლდა. მკვეთრად შეიცვალა ხელოვანთა ცხოვრებაც — შეწყდა სახელმწიფო დაკვეთები, დასრულდა დიდი არქიტექტურული კომპლექსების მშენებლობა, რომელთა ინტერიერების მოსართავად უხვად იყენებდნენ დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების სხვადასხვა დარგის (ვიტრაჟი, მოზაიკა, ტექსტილი, კერამიკა) არტისტთა შემოქმედებას. ასეთ ვითარებაში, ქართული გობელენის სკოლის წარმომადგენლებსაც მოუწიათ შემოქმედებითი მიზნებისა და ამოცანების გადააზრება. ეს პერიოდი ძალზედ მძიმე იყო, როგორც უფროსი თაობის, ქართული გობელენის სკოლის დამაარსებელი არტისტებისთვის, ისე ახალგაზრდებისთვისაც, რომლებიც 1980-90-იან წლებში გამოვიდნენ შემოქმედებით ასპარეზზე. ისინი, ისევე, როგორც მათი უფროსი კოლეგები, სრულიად სხვა რეალობაში აღმოჩნდნენ — აღარ არსებობდა სახელმწიფო დაკვეთების სისტემა, განელდა ინტერესი ხელოვნებისადმი, ადამიანებს, უბრალოდ, გადარჩენისთვის ბრძოლა უწევდათ. ქვეყანა სრულ შემოქმედებით იზოლაციაში აღმოჩნდა, დროებით განყდა შემოქმედებითი კავშირი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს შორის, ასევე, ე.წ. სოციალისტური ბანაკის ქვეყნებთან, სადაც გობელენის ხელოვნება ძალზე მაღალ პროფესიულსა და შემოქმედებით დონეზე იყო. ამ მძიმე პოლიტიკურ-ეკონომიურსა და შემოქმედებით ვითარებაში, ერთგვარი გარღვევა იყო 1994 წელს, ბელგიის ქალაქ ტურნეში გამართული გობელენისა და მხატვრული ქსოვილების მეორე საერთაშორისო ტრიენალე — „გობელენისა და ქსოვილების ხელოვნება სხვა ევროპაში“. ამ გამოფენას, პირველად დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, ჰყავდა ქართველი კურატორი, ხელოვნებათმცოდნე ნინო ყიფშიძე, რომელმაც მოკლე შესავალი სტატია მიუძღვნა საქართველოში ქსოვისა და ტექსტილის ხელოვნების ტრადიციებს და ასევე, იმ მხატვრების შემოქმედებას, ვინც აღნიშნულ ტრიენალეზე იყვნენ წარდგენილნი. დამთვლიერებლების წინაშე პირველად წარდგა ქართული გობელენისა და მხატვრული ქსოვილების მხატვრების ის ახალგაზრდა თაობა, რომლებმაც 1980-იან წლებში დაამთავრეს სამხატვრო აკადემია. დალი მაჩაიძის, იამზე სიგუას, ნინო კუპრავას,



თბილისის აპოლონ ქუთათელაძის
სახელობის სახელმწიფო
სამხატვრო აკადემიის გობელენისა
და მხატვრული ტექსტილის მუზეუმი
Tapestry and Art Textile Museum of
the Apollon Kutateladze Tbilisi State
Academy of Art

ქეთი ციციშვილის, მარიკა ბერიძის, ტარიელ სისაურისა და ნინო ყიფშიძის ნამუშევრები, გობელენისა და ქსოვილების მხატვრული დამუშავების სხვადასხვა ტექნიკით იყო შესრულებული. ეს ნამდვილად გახლდათ ახალგაზრდა ქართველი არტისტების საერთაშორისო აღიარება, რომლებიც პირველად წარდგინეს საზოგადოების წინაშე, როგორც დამოუკიდებელი, თავისუფალი საქართველოს წარმომადგენლები. ამ წლებში, მნიშვნელოვანი იყო, ქართული არასამთავრობო ორგანიზაცია ქართული ტექსტილის ჯგუფის (GTG) საქმიანობაც, რომელმაც საგრძნობლად შეუწყო ხელი ქართული ტექსტილის ხელოვნების პოპულარიზაციას და იმ საერთაშორისო იზოლაციის დაძლევას, რომელშიც ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფო იმყოფებოდა. აღნიშნული ტექსტილის ჯგუფი ერთობლივად დააარსეს ქართველმა ხელოვნებათმცოდნეებმა, არქიტექტორებმა და მხატვრებმა (ნ. ყიფშიძემ, ნ. ჩაჩხიანმა, ნ. კუპრაავამ, ი. კოშორიძემ). მალე, მასში ტექსტილის ათობით ქართველი მხატვარი გაერთიანდა. ჯგუფი რამდენიმე მიმართულებით მუშაობდა და ორ წელიწადში ერთხელ მართავდა ტექსტილის საერთაშორისო სიმპოზიუმებს — ეს იყო ტექსტილის თანამედროვე მხატვრების საერთაშორისო გამოფენები, მსოფლიოში ცნობილი ტექსტილის მხატვრების ვორქშოფები, კულტურული მემკვიდრეობის გამოფენები და საგანმანათლებლო პროგრამები. 1997 წელს, ჯგუფმა ტექსტილის პირველი საერთაშორისო სიმპოზიუმი გამართა, სადაც ყველა ეს მიმართულება იყო წარმოდგენილი. ორგანიზაცია აქტიურად თანამშრომლობდა საქართველოს სხვადასხვა მუზეუმთან, სამხატვრო აკადემიასთან, დამოუკიდებელ მხატვრებთან, მოდის იმდროინდელი ინდუსტრიის წარმომადგენლებთან. ჯგუფმა საერთაშორისო ტექსტილის სულ 5 სიმპოზიუმი ჩაატარა და მნიშვნელოვანი როლი ითამაშა გობელენისა და მხატვრული ტექსტილის, ქართველი და უცხოელი მხატვრების შემოქმედებითი ურთიერთობებისა და კონტაქტების დამყარების საქმეში.



1990-იანი წლების მიწურულიდან, ქართული გობელენის ხელოვნებაში, ახალი ტენდენციები შეიმჩნეოდა, რაც, რა თქმა უნდა, ახალი რეალობიდან გამომდინარე, სრულიად განსხვავებულ დამოკიდებულებასა და შემოქმედებით იმპულსებს ბადებდა. ქვეყნის დამოუკიდებლობის პერიოდში გაჩენილმა სიძნელეებმა, საზოგადოების მხრიდან მოთხოვნისა და ინტერესის დაკარგვამ, ერთგვარ კრიზისულ და სტაგნაციურ მდგომარეობაში ჩააყენა გობელენის ქართველი არტისტები, თუმცა, ამ პირობებიდანვე გამომდინარე, ვინც აღნიშნული სპეციალობის ერთგული დარჩა, უფრო მეტი შემოქმედებითი, ახალი არტისტული და ტექნიკური ხერხების ძიების მიმართულებით დაიწყო მუშაობა. 1990-იან წლებში ჩასახულმა საერთაშორისო კონტაქტებმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია და გამოაცოცხლა ტექსტილის მხატვრების საქმიანობა. დაიწყო ექსპერიმენტები სამგანზომილებიანი ტექსტილისა და გობელენის მიმართულებით. ამ მხრივ, ალბათ, ერთ-ერთ პირველ ნამუშევრად უნდა ჩაითვალოს ნინო ცქვიტარიას, ჯერ კიდევ 1980-იან წლებში შექმნილი, „დეკორატიული მოტივი“. მხატვარი ხვენს და ოსტატურად უთავსებს ერთმანეთს გობელენისა და ტრადიციული ფარდაგული ქსოვის ელემენტებს და ქმნის დამოუკიდებელ სამგანზომილებიან კომპოზიციებს.

ზოგადად, ქართული გობელენის სკოლისათვის დამახასიათებელი იყო ის ფაქტი, რომ მხატვრები თავად ქმნიდნენ ესკიზებს, შაბლონებს, ღებავდნენ ძაფებს და თავადვე ქსოვდნენ ნამუშევრებს.

1990-იანი წლებიდან, სხვა განვითარების დონეს მიაღწია ქართველი მხატვრების ქსოვის ტექნიკამ. იგულისხმება ძალზედ მაღალი სიმჭიდროვის ქსოვა, რაც იმის საშუალებას იძლეოდა, რომ ვირტუოზობამდე მიეყვანათ ფორმა, ფერი თუ ხაზი. თანამედროვე ქართული გობელენის მხატვრები, ქსოვილში, ფაქტობრივად, ფერწერის ადეკვატური



ტექსტილის გამოფენა, ქარვასლა,
2013 წელი

Textile Exhibition, Carvasla, 2013

მონასმის, ტონალობის, გრადაციისა და სხვადასხვა ფაქტურის შერწყმის მეშვეობით, განუმეორებელ ეფექტებს აღწევენ. ქსოვის გართულებული ტექნიკიდან გამომდინარე, შემცირდა თავად გობელენის ფორმატიც. იშვიათი გამონაკლისის გარდა, მათი ზომები დაზგური ფერწერული ტილოების პარამეტრებს უახლოვდება. თუმცა, იქმნება ნამუშევრები, რომლებიც ინარჩუნებენ მონუმენტურობას და ამას უფრო დეკორატიული და არა ფერწერული ხერხების მეშვეობით აღწევენ. ასეთ ნამუშევართა შორისაა ნინო კუპრავას „ყელის ტბა“, რომელიც ჰორიზონტალურად დაგრძელებული ფორმატის კომპოზიციანია. მუქი და ბაცი ტონალური გრადაციების ურთიერთდაპირისპირებით, სხვადასხვა ფერის ხაზობრივი მონასმებით, საოცრად ეფექტურადაა გადმოცემული კავკასიონის ძირში მდებარე არაჩვეულებრივი ტბის სიდიადე. სხვა ავტორების ნამუშევრების მასშტაბურობაც, ხშირად, დიფტიხის ან ტრიპტიხის, არარეგულარული ტეხილი ხაზებით აგებულ კომპოზიციებს ეფუძნება (ნ. ნუცუბიძე, ე. სირაძე, ნ. ჭოლაძე, ბ. ნუცუბიძე). ამ ხერხებს არტისტები ემოციური მუხტის გასაძლიერებლად მიმართავენ, რასაც ემატება ამა თუ იმ ტონალური გამის აქცენტირება, რაც შესაბამის განწყობას გადმოსცემს. ასეთი არასტანდარტული ფორმატის ნამუშევრებში ხშირად იყენებენ შერეულ ტექნიკას — ჭვირულად ნაქსოვი მონაკვეთები, ტრადიციულ გობელენურსა თუ ფარდაგულ ქსოვას ანაცვლებს; ტრადიციული შალის გვერდით ჩნდება აბრეშუმი, ქალაღი, ვისკოზი ან სხვა მასალა. თუმცა, მასალისა და ტექნიკის შერევა, ზოგადად, დამახასიათებელი ხდება ქართული გობელენის არტისტების შემოქმედებისათვის.

შეიცვალა გობელენის თემატიკაც. სრულიად გაქრა ჰეროიკული, პათეტიკური თემები და მოტივები. მხატვრები განწყობის გადმოცემას, ფერისა და სხვადასხვა ტექნიკის შერწყმით აღწევენ. პეიზაჟი, ნატურმორტი, აბსტრაქტული კომპოზიციები — ქართველი არტისტების საყვარელი თემებია. საინტერესოა, რომ ჩნდება რელიგიური თემატიკით ინსპირირებული

ნამუშევრებიც, რაც მანამდე უცხო იყო (მ. წინამძღვრიშვილის „ფრესკა“; ხ. რაზმაძე-მებადურის „იმედი“).

მიუხედავად ასეთი ჟანრული მრავალფეროვნებისა, ქართველმა ოსტატებმა მაინც შეინარჩუნეს გობელენისათვის დამახასიათებელი დეკორატიულობისა და კომპოზიციური წყობის პრინციპები: ფორმების ვირტუოზული დამუშავებისა და ქსოვის მაღალი სიმჭიდროვიდან გამომდინარე, რაც ფოტოგრაფიულობამდე ზუსტი და რეალისტური სურათის გადმოცემის საშუალებას იძლევა, ისინი არასდროს სცდებიან ამ ზღვარს; მათი ნამუშევრები ყოველთვის რჩება დეკორატიულობის, კოლორიტისა და ხაზის ერთგვარ ჰარმონიულ სინთეზად, სადაც მხატვრის განწყობილება, ემოციები და ამა თუ იმ მოვლენისადმი დამოკიდებულება, სწორედ, მსგავსი ხერხების მეშვეობით გადმოიცემა. როგორც უკვე აღინიშნა, ქართველი არტისტები თავად ქმნიდნენ შაბლონებს და თავადვე ასრულებდნენ ნამუშევრებს, თუმცა, ძველი თაობის წარმომადგენლების (გ. ყანდარელი, თ. ნუცუბიძე) მსგავსად, ხშირად, ეს მხოლოდ ესკიზური ჩანახატები იყო და ქსოვის დროს, საინტერესო იმპროვიზაციის პროცესი იწყებოდა.



გობელენისა და მხატვრული ქსოვილების კათედრის დიპლომების დაცვა-სამხატვრო აკადემია, 1998 წელი

Art Thesis Defense of the Tapestry and Art Textile Department, Tbilisi State Academy of Art, 1998

სრულიად განსხვავებული და ამავე დროს, აუცილებლად აღსანიშნავია ვ. თოფურიას გობელენი „ლურჯი ბოლი“, რომლის ესკიზიც თავად მის მიერაა შექმნილი, ქსოვის შესრულება კი მ. ჭანაშიას ეკუთვნის. ვ. თოფურია განათლებით ხელოვნებათმცოდნეა, რომელმაც, 1990-იან წლებში, ფერწერაში დაიწყო მუშაობა, საკმაოდ დიდ პოპულარობას მიაღწია როგორც სამშობლოში, ისე საფრანგეთში, სადაც, იმ პერიოდში, აქტიურ შემოქმედებით მოღვაწეობას ეწეოდა. 2000 წლის დასაწყისში, მან შექმნა მონუმენტური ნამუშევარი, „ლურჯი ბოლი“, რომლის ფერწერულმა ესკიზურმა ვარიანტმა არ დააკმაყოფილა, მისი გადატანა სხვა მედიაში გადანაცვითა და არჩევანი გობელენზე შეაჩერა.

ამის შემდეგ შედგა მხატვრის თანამშრომლობა გობელენის არტისტ მ. ჭანაშიასთან, რომელმაც ნამუშევარი გობელენის ტექნიკაში გადაიტანა. ავტორმა ნატურალური საღებავებით შეღებილი (კოშენილი, ინდიგო და სხვ.), მაღალი ხარისხის შალის ძაფი გამოიყენა. ქსოვის ძალზედ მაღალმა სიმჭიდროვემ კ. თოფურიას ფანტასმაგორიული სამყაროს ზედმინვნით გადმოცემა განაპირობა. ის ხასიათდება რთული, კლავნილ-ხაზოვანი, ინტენსიურად დატვირთული ზედაპირითა და კოლორიტული გამით, რომელიც, ძირითადად, ნატურალური თეთრის, ღვინისფერისა (კოშენილი) და ლურჯის (ინდიგო) შეპირისპირებაზეა აგებული.

2000-იანი წლების ბოლოდან, გობელენის არტისტების ახალი თაობა გამოვიდა ასპარეზზე. მათ, გარკვეული ტრადიციებისადმი ერთგულების პარალელურად, ახასიათებთ ინოვაციური ტექნიკების, მასალების, თამამი კომპოზიციებისა და თემებისადმი ინტერესი. ამავ პერიოდში, აღდგა უცხოელ კოლეგებთან თანამშრომლობა და საერთაშორისო კონტაქტები. ქართველი არტისტები მონაწილეობდნენ სხვადასხვა მასშტაბის ტექსტილის ბიენალეებსა და საერთაშორისო გამოფენებში, სადაც თავიანთ ახლებურ ხედვებსა და მიდგომებს წარმოაჩენდნენ.

2019 წელს, საქართველოს მხატვართა კავშირის დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების სექციამ გამოაცხადა რესპუბლიკური გამოფენისათვის ნამუშევრების მიღება და მალევე, თბილისის ისტორიის მუზეუმში, პირველი ფართომასშტაბიანი დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების გამოფენა მოეწყო, სადაც გობელენის ქართველი არტისტებიც მონაწილეობდნენ. ქართულმა გობელენმა რთული, წინააღმდეგობრივი გზა გაიარა. ქსოვის მდიდარი ტრადიციების ქვეყანაში, ამ ხელოვნებამ თავისი საინტერესო და გამორჩეული ადგილი დაიმკვიდრა. თვითმყოფად, ეროვნულ ტრადიციებსა და იდეებზე დაფუძნებული, ინდივიდუალური შემოქმედებითი ხედვით გამდიდრებული, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ეს დარგი, დღემდე, მიმზიდველი და საინტერესოა ახალგაზრდებისათვის, რომლებიც სამხატვრო აკადემიის კედლებში ეუფლებიან ამ რთულ პროფესიას და ქმნიან უნიკალურ ნამუშევრებს. მათში სრულად ვლინდება ავტორთა შემოქმედებითი პოტენციალი, რაც იმედს გვაძლევს, რომ ეს ხელოვნება, XXI საუკუნეშიც, ქართველი არტისტების თვითგამოხატვისა და რეალიზაციის ერთ-ერთ ძლიერ და მნიშვნელოვან საშუალებად დარჩება...

European carpet-like product **TAPESTRY**

Tapestry (known as *Gobelin* in French) is a one-sided weft-faced textile featuring narrative, ornamental, or abstract compositions. It is considered a form of decorative art.

The term *Gobelin* is associated with the Frenchman Jehan Gobelin, who established a carpet factory in Paris in the 15th century. Later, in the 1650s, a workshop was founded on the basis of this enterprise under the leadership of Charles Le Brun. This workshop exclusively wove tapestries for the interiors of the castle of Vaux-le-Vicomte. To promote the production of such artistic textiles, Louis XIV (1638-1715) purchased the workshop and transformed it into the *Royal Tapestry Manufactory*. From this time onwards, the general term *Gobelin* became widely established for this type of fabric. However, the weaving technique of tapestry and the products created with it had been known to many ancient civilizations. Naturally, different names were given to such textile goods in various languages; for example, in Greek, it was called *tapes* (Ancient Greek τάπης), in Latin – *tapetum*, and often referred to a carpet, bedspread, or tablecloth. Today, this form of artistic textile is commonly known as tapestry or wall-hanging, and the European term *Gobelin* is used only in a few countries, including Georgia.

Tapestry is handwoven on a vertical loom, employing a cross-weaving technique of the threads. This intricate process involves interlacing weft yarns back and forth through the warp, simultaneously crafting both image and fabric. Typically, colorless, natural yarns like cotton or linen are chosen for the warp, while the weft threads are mainly composed of wool. However, depending on the artistic objectives, weft threads may also incorporate silk, gold, silver, or other alternatives. The image is woven according to a pre-created pattern, which could be in the form of a cartoon, sketch, or drawing.

The great popularity of this form of artistic textiles was, to some extent, attributed to its lightness and portability. However, from the Middle Ages onward, the tapestry found increased demand due to other functions as well: it became a common choice for decorating the interiors of palaces and castles. In harsh climate conditions, it was often draped on walls to provide excellent insulation.

Today, tapestry weaving is primarily associated with European art and involves the creation of figurative images using woolen threads. However, as mentioned earlier, this weaving technique has a much older history. Artistic woven pieces have been discovered in the tombs of ancient Egypt, and references to this technique can be found in Greek and Roman literature. Visual records from these ancient civilizations also depict such woven products. The same weaving technique was prevalent in Pre-Columbian America and China. Coptic Egypt has yielded a wealth of woven fabrics as well. The choice of materials for weaving varied depending on the specific culture of each country and the availability of raw materials. Linen was favored in Egypt, while wool and cotton were used in Columbia, and silk was prominent in China.

During medieval Europe, the process of popularizing and developing the carpet-like product known as tapestry is particularly intriguing. Initially, the introduction and dissemination of this artistic fabric were closely linked to the era of the Crusades. Unlike earlier patterns, which were primarily used as accessories and clothing embellishments, tapestry art in medieval Europe began to replace traditional wall paintings in many settings. As mentioned previously, it became an essential element in adorning the interiors of churches, noble castles, and palaces. Consequently, tapestries naturally reflected the topical narratives and spirit of their time.

Starting from the 14th century, the art of tapestry weaving gained popularity in Germany and Switzerland, and later, it flourished in France, particularly in the town of Arras. In the bustling manufacturing workshops of Arras, a multitude of tapestry patterns were intricately woven from wool and supplied to palaces and castles across Europe.

Starting in the 14th century, tapestry weaving began to flourish in Flanders. During this period, the city of Brussels emerged as the preeminent center for tapestry production in Europe, giving rise to the creation of renowned masterpieces. Masters of the Northern Renaissance, such as Jan Van Eyck and Hugo van der Goes, exerted a profound influence on the further development of tapestry. It was during this era that artists' works began to be faithfully reproduced on tapestries. Compositions became increasingly intricate, featuring multiple figures and dynamic scenes that skillfully portrayed shapes, depth, and shadows.

To accommodate these innovations, the color palette also expanded significantly. Flemish weavers employed yarns with an impressive range of 20-30 different shades, and they incorporated silk, silver, and gold threads into their creations.

In the 15th century, France emerged as a significant center for tapestry weaving, where a distinctive style known as *Millefleur*, literally translating to *thousand flowers*, came into existence. This name aptly describes the background of these tapestries, characterized by an abundance of small flowers and plants. A prominent theme within this genre is the allegorical stories of the *Lady and the Unicorn*, with the plants filling the field without connecting or overlapping, which also differs from the floral decoration of Gothic style borders.

Some of the most renowned tapestries of the Renaissance were commissioned for the Sistine Chapel, based on designs created by Raphael between 1515 and 1516. A total of ten such tapestries were meticulously woven. These priceless works of art are still preserved in the Vatican Museum and are displayed within the Sistine Chapel, positioned beneath Michelangelo's frescoes, for special occasions.

In 1580, the renowned tapestries of the French royal dynasty, the Valois (1328-1589), were completed in workshops located in the Burgundian Netherlands, likely in either Brussels or Antwerp. These tapestries were crafted based on French cartoons, commissioned by Queen Catherine de' Medici. The tapestries portrayed the complete Valois family, capturing their festivities and scenes of entertainment.

Louis XIV made a significant contribution to the art of French tapestry by establishing and promoting the Royal Tapestry Manufactory in 1662. Since then, France has firmly established itself as one of the renowned centers of tapestry art. These workshops primarily executed royal commissions, producing numerous sets that depicted the lives of classical heroes, including the battle scenes of Alexander the Great, seasonal themes, and the history of Louis XIV, among others. Typically, different artists were responsible for designing the cartoons for these tapestries, and they were categorized based on the content they specialized in, including masters of landscape, architectural motifs, and ornamental designs. However, the entire process was overseen by the aforementioned Charles Le Brun, who possessed a deep understanding of the art of tapestry. He ensured that a certain consistency in image and color palette was maintained across all works. In 1664, the privilege of bearing the name of the royal manufactory was granted to the Beauvais Manufactory, which also served the royal court. A year later, in 1665, the Aubusson Manufactory, known for producing tapestries with Flemish designs and copies of Beauvais furniture textiles, received the same prestigious privilege. Both establishments catered to customers from various regions.

In the 18th century, tapestry art underwent a significant transformation. The rising popularity of the Rococo style led to a crisis for monumental compositions designed for large spaces, which often featured heroic, mythical, or historical narratives. However, rather than vanishing entirely, the medium evolved, with changes in emphasis, scale, artistic techniques, and objectives.

The primary objective shifted towards faithfully reproducing the original design. Threads were dyed in a wide array of color shades, reaching approximately 14,000 shades by the end of the 18th century. Between 1733 and 1755, the royal workshops of France introduced a standardized color palette, assigning specific numbers and shades to weavers. This standardization ultimately curtailed the creative initiative of tapestry weavers, reducing their role to that of skilled craftsmen. They were tasked with faithfully replicating the original image, with no room for deviation.

Between 1755 and 1770, dozens of tapestries were woven under the leadership of Francois Boucher, one of the most renowned artists of the Rococo period, who served as the head of the Royal Manufactory.

In the 19th century, the rise of machine production significantly reduced the production of hand-woven tapestries. However, one of the key figures responsible for the resurgence of this art form was William Morris (1834-1896), a British textile artist, writer, and activist associated with the Arts and Crafts movement. Morris not only designed the cartoons but also personally engaged in weaving and dyeing the threads. His works predominantly featured biblical and chivalric narratives.

Working alongside his followers, Morris endeavored to rejuvenate the creative spirit of tapestry art, which had been stifled by rigid copying practices since the 18th century.

